ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
UNITED NATIONAL MOVEMENT

№ 160/01

„22“ 04 2021 წ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების

მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს

ბ-ნ **ბესიკ ქოჩიაშვილს**

0144, თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ. N96

გაცნობებთ, რომ საარჩევნო ბლოკ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“-ს სახელით გამოგზავნილი საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის აუდიტორულ დასკვნაზე და მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2020 წლის ფინანსური ანგარიშის აუდიტორულ დასკვნაზე ხელმომწერი საჯარო აუდიტორის სერტიფიკატი აღმოჩნდა ვადაგასული. შესაბამისად, გიგზავნით დაკორექტირებულ აუდიტორულ დასკვნებს, ვალიდური სერტიფიკატის მქონე საჯარო აუდიტორის ხელმოწერით.

დანართი: აუდიტორული დასკვნები - „ 4 “ ფურცელი.

პატივისცემით,

**კობა ნაყოფია**

აღმასრულებელი მდივანი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა UNITED NATIONAL MOVEMENT 200078888

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 2425/09 "22" 04 2021 4 ფ.

საქართველო, 0190, თბილისი, კახეთის გზატკეცილი №45ª, ტელ.:(+995) 2923084/85; ფაქსი:(+995) 2923091; ელ-ფოსტა: info@unm.ge; ვებ-გვერდი: www.unm.ge
45ª Kakheti Highway, Tbilisi, 0190, Georgia. Tel: (+995) 322 923084/85, Fax: (+995) 322 923091 E-mail: info@unm.ge web: www.unm.ge

# შპს „ბიზნეს კონსალტინგი და აუდიტი“

*ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. № 57, ს/კ 251721132,* იურიდიული პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-836276 *გაც.:* 15.11.2016 *წ. საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატი № 300. გაც.: 07.09.2018 წ. მობ. 577-41-62-00*


## დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

*მპგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“*

*ქ. თბილისი* *21 აპრილი 2021 წ.*

ჩავატარეთ ***საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“*** საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საარჩევნო ფონდის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება **2020 წლის 01 სექტემბრიდან 2020 წლის 03 დეკემბრამდე** პერიოდის მდგომარეობით მომზადებული, „პოლიტიკური ფინანასების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის ნ 2915/21 ბრძანებით დამტკიცებული ფორმებისაგან და, ასევე, წინამდებარე დასკვნას დანართის სახით ერთვის საარჩევნო ფონდის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების მოკლე მიმოხილვა (იხ. დანართი 1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დასკვნის განუყოფელ ნაწილს).

*მოსაზრება*

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ***საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“*** საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საარჩევნო ფონდის ფინანსურ მდგომარეობას **2020 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით**, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ პერიოდასთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანაგარიშგების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასხული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშის მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი, აგრეთვე, გულისხმობს ხელმძღავნელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასება, ასევე, მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორი: დანიელ ჭიღლაძე
*საჯარო აუდიტის სერტიფიკატი N 300*
*გაც. 07.09.2018 წ.*

დირექტორი: კუკური ქვაცაბაია

1. შემოსავლებისა და ხარჯების მოკლე მიმოხილვა

ა) შემოსავლები

საარჩევნო კამპანიის დასაწყისისათვის *საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“* საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საარჩევნო ფონდის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენდა 161053.75 ლარს. შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინეს 5632475 ლარი, მათ შორის: შემოწირულობები ფიზიკური პირებისაგან - 4452697 ლარი; შემოწირულობა იურიდიული პირებისგან - 267800 ლარი; დაფინანსება ბიუჯეტიდან - 854825 ლარი; გარდა ამისა, მიღებული იყო არაფულადი შემოწირულობები - 64834 ლარის ღირებულებით.

ბ) ხარჯები

*საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“* საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საარჩევნო ფონდის მიერ გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 5761218 ლარს, მათ შორის: ა) შრომის ანაზღაურება - 856873 ლარი, ბ) საქონელი და მომსახურება - 4836717 ლარი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საკანცელარიო საქონელი, საოფისე ტექნიკა და ინვენტარი - 62853.43 ლარი; საოფისე ავეჯი - 1400 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები - 9286.9 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი - 45668.88 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯი - 423 ლარი; კომუნალური ხარჯი - 39450.63 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი - 1277 ლარი; სამედიცინო ხარჯები - 1170 ლარი; საწვავ-საპოხი მასალები - 190281 ლარი; ავტოტექმომსახურება - 726 ლარი; ბანკის მომსახურება - 752 ლარი; სატელევიზიო რეკლამის ხარჯები - 3056359 ლარი; ბეჭდური რეკლამის ხარჯი - 9069 ლარი; ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი - 336381 ლარი; ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი - 113080 ლარი; გარე რეკლამის ხარჯი - 354878 ლარი; სხვა სარეკლამო ხარჯები - 343070 ლარი; სესიების კონფერენციების, ყრილობების და ა.შ მოწყობის ხარჯები - 6852 ლარი, საკონსულტაციო ხარჯები - 2250 ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი - 750 ლარი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი - 320 ლარი; უძრავი ქონების იჯარის ხარჯი - 232549 ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი - 4500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 23369 ლარი; დ) სხვა ხარჯები - 67628 ლარი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: დაზღვევის ხარჯი - 2158 ლარი, გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის) – 53540 ლარი; სხვადასხვა ხარჯები - 11930 ლარი; ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან - 612 ლარი.

გ) კრედიტორული დავალიანება

მთლიანად ორგანიზაციის კრედიტორული დავალიანებების ჯამი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1036728.27 ლარს.

ყველა შემოსავალი და ხარჯი *მპგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* *ბუღალტერიაში* დოკუმენტურად დადასტურებულია და დეტალურად ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცებულ საანგარიშგებო ფორმებში.

შემოსავლები და ხარჯები განხილულია ჯამურად როგორც არასაარჩევნო, ისე საარჩევნო პერიოდებისათვის. საარჩევნო პერიოდის ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა წარდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტორი: დანიელ ჭიღლაძე

დირექტორი: კუკური ქვაცაბაია

# შპს „ბიზნეს კონსალტინგი და აუდიტი“

*ქ. თბილისი, ავ. წერეთლის გამზ. № 57. ს/კ 251721132,* იურიდიული პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-836276 *გაც.: 15.11.2016 წ. საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატი № 300. გაც.: 07.09.2018 წ. მობ. 577-41-62-00*


## დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

*მპგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“*

*ქ. თბილისი* *21 აპრილი 2021 წ.*

ჩავატარეთ *მპგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება **2020 წლის 31 დეკემბრის** მდგომარეობით მომზადებული შემოსავლებისა და ხარჯების, ბალანსის, ფულადი და არაფულადი შემოწირულობების და სხვა ანგარიშგებებისაგან, რომელიც შედგენილია საქართველოს ორგანული კანონების „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 32-ე მუხლის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 57-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

*მოსაზრება*

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს *მპგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* ფინანსურ მდგომარეობას **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ პერიოდასთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანაგარიშგების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასხული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშის მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი, აგრეთვე, გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასება, ასევე, მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორი: დანიელ ჭიღლაძე
*საჯარო აუდიტის სერტიფიკატი N 300*
*გაც. 07.09.2018 წ.*

დირექტორი: კუკური ქვაცაბაია

BCA
251721132
BUSSINES CONSULTING AND AUDITING Ltd

1. შემოსავლებისა და ხარჯების მოკლე მიმოხილვა

ა) შემოსავლები

2020 წლის დასაწყისისათვის *მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* ფულადი სახსრების არსებული ნაშთი შეადგენდა 9712.68 ლარს. შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინეს 7476432 ლარი, მათ შორის: შემოწირულობები ფიზიკური პირებისაგან - 5311754 ლარი; შემოწირულობა იურიდიული პირებისგან - 275800 ლარი; დაფინანსება ბიუჯეტიდან - 1689539 ლარი; საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრები - 155532 ლარი; სხვა ფულადი შემოსავლები - 43808 ლარი; გარდა ამისა, მიღებული იყო არაფულადი შემოწირულობები - 92511 ლარის ღირებულებით.

ბ) ხარჯები

*მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მიერ საანგაარიშგებო პერიოდში გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 7400840 ლარს, მათ შორის: ა) შრომის ანაზღაურება - 1005843 ლარი, ბ) საქონელი და მომსახურება - 6240993 ლარი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: მივლინებები - 45 ლარი, საკანცელარიო საქონელი, საოფისე ტექნიკა და ინვენტარი - 74548 ლარი; საოფისე ავეჯი - 1400 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები - 23587 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი - 113586 ლარი, საფოსტო მომსახურების ხარჯი - 1547 ლარი; კომუნალური ხარჯი - 110080 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი - 2029 ლარი; სამედიცინო ხარჯები - 1260 ლარი; საწვავ-საპოხი მასალები - 203714 ლარი; ავტოტექმომსახურება - 8828 ლარი; ბანკის მომსახურება - 916 ლარი; სატელევიზიო რეკლამის ხარჯები - 3056359 ლარი; ბეჭდური რეკლამის ხარჯი - 9069 ლარი; ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი - 348462 ლარი; ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი - 117850 ლარი; გარე რეკლამის ხარჯი - 369461 ლარი; სხვა სარეკლამო ხარჯები - 552156 ლარი; სესიების კონფერენციების, ყრილობების და ა.შ მოწყობის ხარჯები - 9527 ლარი, საკონსულტაციო ხარჯები - 8412 ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი - 7500 ლარი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი - 880 ლარი; უძრავი ქონების იჯარის ხარჯი - 793568 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 421709 ლარი; დ) სხვა ხარჯები - 150234 ლარი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: დაზღვევის ხარჯი - 9106 ლარი, გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის) – 121490 ლარი; სხვადასხავა ხარჯები - 19027 ლარი; ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან - 612 ლარი.

გ) არაფინანსური აქტივების შეძენა

საანგარიშგებო პერიოდში შეძენილია 3771 ლარისღირებულების ძირითადი საშუალებები.

გ) კრედიტორული დავალიანება

მთლიანად ორგანიზაციის კრედიტორული დავალიანებების ჯამი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1105025 ლარს.

ყველა შემოსავალი და ხარჯი *მპგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბუღალტერიაში* დოკუმენტურად დადასტურებულია და დეტალურად ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცებულ საანგარიშგებო ფორმებში.

შემოსავლები და ხარჯები განხილულია ჯამურად როგორც არასაარჩევნო, ისე საარჩევნო პერიოდებისათვის. საარჩევნო პერიოდის ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა წარდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტორი: დანიელ ჭიღლაძე

დირექტორი: კუკური ქვაცაბაია